აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაკოორდინირებელი უწყების ინსტიტუციური პოზიციონირების გავლენა ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინაციაზე

სტუდენტი: ბინნათ ისკანდაროვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბობღიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბინნათ ისკანდაროვი

20.06 .2026

ანოტაცია

ახალგაზრდული პოლიტიკა დარგთაშორისი სფეროა, რომელიც მჭიდრო უწყებათაშორის კოორდინაციას მოითხოვს. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მაკოორდინირებელი უწყების ინსტიტუციური პოზიციონირების გავლენა ახალგაზრდობის პოლიტიკის კოორდინაციაზე.

თვისებრივ მეთოდოლოგიაზე (დოკუმენტების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები) და სლოვაკეთის დამხმარე ქეისზე (Shadow Case) დაყრდნობით, კვლევა ადარებს კოორდინაციის ორ მოდელს საქართველოში : დარგობრივ სამინისტროზე და მთავრობის ცენტრზე (CoG) დაფუძნებულ მიდგომებს. თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია საჯარო სექტორის ორგანიზაციათა კოორდინაციის (იერარქიული და ქსელური) კონცეფცია.

ანალიზმა აჩვენა, რომ დარგობრივი სამინისტროს მიერ მაკოორდინირებელი ფუნქციის განხორციელება ინსტიტუციურ ფრაგმენტაცია იწვევს. იერარქიული ავტორიტეტის დეფიციტის გამო, კოორდინაციის მექანიზმები სუსტდება, ხოლო სამოქმედო გეგმები ფორმალურ ხასიათს იღებს. საპირისპიროდ, 2019 წელს სააგენტოს მთავრობის ცენტრში (CoG) ინტეგრაციამ უზრუნველყო ლეგალურ-რაციონალური ავტორიტეტი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც მუნიციპალიტეტების მობილიზება, ისე სამოქმედო გეგმების თვისებრივი ხარისხი.

ნაშრომი ასკვნის, რომ ინსტიტუციური პოზიციონირება კრიტიკულად განაპირობებს კოორდინაციის ეფექტურობას. ფრაგმენტაციის დასაძლევად აუცილებელია მყარი იერარქიული კოორდინაცია მთავრობის ცენტრიდან, რომელიც გამყარებული იქნება ქსელური მექანიზმებითა და მდგრადი ინსტიტუციური მეხსიერებით.

საკვანძო სიტყვები: *ახალგაზრდული პოლიტიკა, პოლიტიკის კოორდინაცია, მთავრობის ცენტრი (CoG), ინსტიტუციური პოზიციონირება, დარგთაშორისი პოლიტიკა, დარგობრივი სამინისტრო.*

Abstract

Youth policy is a cross-sectoral field, which requires close inter-agency coordination. The aim of this master's thesis is to study the influence of the institutional positioning of the coordinating agency on the coordination of youth policy.

Relying on qualitative methodology (document analysis, in-depth interviews) and a supplementary case (Shadow Case) of Slovakia, the research compares two models of coordination in Georgia: approaches based on the line ministry and on the Center of Government (CoG). As the theoretical framework, the concept of coordination (hierarchical and network-based) of public sector organizations is used.

The analysis showed that the implementation of the coordinating function by the line ministry causes institutional fragmentation. Due to the deficit of hierarchical authority, the coordination mechanisms weaken, while the action plans take on a formal character. In contrast, in 2019 the integration of the agency into the Center of Government (CoG) ensured legal-rational authority, which significantly improved both the mobilization of municipalities and the quality of the action plans.

The thesis concludes that institutional positioning critically determines the effectiveness of coordination. To overcome fragmentation, firm hierarchical coordination from the Center of Government is necessary, reinforced by network mechanisms and sustainable institutional memory.

Keywords: youth policy, policy coordination, Center of Government (CoG), institutional positioning, cross-sectoral policy, line ministry